ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

ა ნ გ ა რ შ ი

კომისიის მუშაობის პერიოდი მოიცავს 2014 წლის 10 აგვიტოდან 2015 წლის 30 აპრილამდე. კომისიის შემადგენლობაში იყო 7 წევრი და 2014 წლის ბოლოს დაემატა 2 წევრი. წვრები არიან: აკაკი მაჭავარიანი, ჯამბულ გამცემლიძე, რომან შერგელაშვილი, გიორგი ლაცაბიძე, ვარლამ თავზარაშვილი, მერაბ ტალახაძე, ბესიკ ტალახაძე, კობა გოგსაძე, შალვა ლურსმანაშვილი.

ამ პერიოდის მანძილზე კომისამ ჩაატარა 21 სხდომა, 10 გეგმიური, ხოლო 11 რიგგარეშე. აქედან კომისამ დადო 19 დადებითი დასკვნა, ხოლო 2 პროექტზე კომისიამ უარყოფითი დასკვნა გასცა. კომისიის შეკრებებზე ქვორუმი არცერთხელ არ ჩავარდნილა.

კომისამ შეძლო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ადგილზე გასვლით, შეესწავლა 17 დაგეგმილი თუ მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის შემდგომ განხილული და შემუშავებული იქნა რიგი რეკომენდაციები. კომისიას ინტენსიური ურთიერთობები აქვს ხარაგულის გამგეობის ეკონომკისა და ქონების მართვის, ასევე ინფრასტრუქტრურის სამსახურებთან, რომლებიც დროულ რეაგირებას ახდენენ კომისიისაგან წარდგენილ წერილებზე შესაძლებლობის ფარგლებში.

ინფრასტრუქტურის სამსახურთან ერთად, (ერთობლივად) მოხდა რეგიონალური განვითარეების ფონდის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების და სოფლის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განხილვა და ადგილზე მონიტორინგი კომისიის უფლებამოსილების ფარგლებში.

კომისიის სხდომებზე ასევე განხილული იქნა მოსახლეობის კოლექტიური განცხადებები. განცხადებების საფუძველზე მოხდა შუამდგომლობის გაწევა შესაბამის სამსახურებთან, მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების გზებზე მსჯელობით.

კომისიის წევრები გამოირჩევიან გამოცდილებითა და საქმისადმი პასუხისმგებლობის მაღალი მიდგომით.

დამატებითი დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ იხილოთ კომისიის მუშაობის მასალები: დასკვნები, ოქმები, რეკომენდაციები და წერილები.

2015 წლის 12 ივნისი

კომისიის თავმჯდომარე შ. ლურსმანაშვილი